ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 27 მარტის ბიუროს რიგგარეშე სხდომის

დღის წესრიგი

1.ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 01 აპრილის მორიგი სხდომის დღის წესრიგში ცვლილების შეტანის შესახებ

მომხს: მანანა ბარბაქაძე

საკრებულოს თავმჯდომარე მანანა ბარბაქაძე

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს 2024 წლის 27 მარტის რიგგარეშე სხდომის

ო ქ მ ი №5

დ. ხარაგაული

9 აპრილის ქ. #15 27 მარტი 2024 წელი

სხდომას თავმჯდომარეობდა - მანანა ბარბაქაძე- საკრებულოს თავმჯდომარე

სხდომას ესწრებოდნენ ბიუროს წევრები:

დავით კიკნაძე საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე,

პაატა გოგოლაძე საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე,

პავლე კიკალიშვილი საკრებულოს საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე,

ბესიკი კვირიკაშვილი - საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე,

მარინე ხვედელიძე- საკრებულოს განათლების, კულტურის და ახალგაზრდობის საქმეთა კომისიის თავმჯდომარე,

ოთარი ლურსმანაშვილი იურიდიული,სამანდატო,საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე,

შალვა ლურსმანაშვილი ფრაქცია ,, ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო" თავმჯდომარე,

მერიის წარმომადგენლები:

პეტრე შარიქაძე ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამსახურის უფროსი,

საინფორმაციო საშუალებათა წარმომადგენლები:

ა.ნიქაბაძე ა.ა.ი.პ ,,მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების ცენტრი"-ს ჟურნალისტი,

თ. მაღრაძე ა.ა.ი.პ ,,მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების ცენტრი"-ს ჟურნალისტი,

საკრებულოს აპარატი:

ლ. კალანდაძე - საკრებულოს აპარატის უფროსი,

ნ. თხელიძე საკრებულოს აპარატის უფროსი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში.

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარის მანანა ბარბაქაძის ინფორმაცია, რომელმაც ბიუროს წევრებს გააცნო ბიუროს სხდომის დღის წესრიგი და საკითხთა ნუსხა,

დღის წესრიგი

1. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 01 აპრილის საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგში ცვლილების შეტანის შესახებ

მომხს: მანანა ბარბაქაძე

საკითხთა ნუსხა

1. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში მერის მიერ წარმოდგენილი 2024 წელს განსახორციელებელი პროექტების დამტკიცებისა და ხარაგაულის მუნიციპალიტეტისათვის გამოყოფილი თანხის დასახლებების მიხედვით განაწილების შესახებ

მომხს: პეტრე შარიქაძე

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება დღის წესრიგისა და საკითხთა ნუსხის დამტკიცების თაობაზე
კენჭისყრაში მონაწილეობას იღებდა ბიუროს 8 წევრი:

მომხრე 8

წინააღმდეგი .

დღის წესრიგი და საკითხთა ნუსხა დამტკიცებული იქნა (თან ერთვის).

მოისმინეს: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამსახურის უფროსის პეტრე შარიქაძი ინფორმაცია საკითხზე“ საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში მერის მიერ წარმოდგენილი 2024 წელს განსახორციელებელი პროექტების დამტკიცებისა და ხარაგაულის მუნიციპალიტეტისათვის გამოყოფილი თანხის დასახლებების მიხედვით განაწილების შესახებ“

აზრი გამოთქვეს:
მ. ბარბაქაძემ სხდომის თავმჯდომარემ, რომელმაც მომხსენებელს მიმართა წინადადებით ბორითის ადმინისტრაციულ ერთეულისათვის ბორდიურების მოსაწყობად დაემატებიათ 5000 ლარი,

პ. კიკალიშვილმა საკრებულოს საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ მოითხოვა 3000 ლარის დამატება ლაშეში წყლის ავზის შესაძენად,

ბ. კვირიკაშვილმა საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ, რომელმაც მოქალაქის მომართვის საფუძველზე მოითხოვა ხიდრის ადმინიტრაციულ ერთეულში გზის მონაკვეთის მოხრეშვის გათვალისწინება.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხის 2024 წლის 01 აპრილის საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგში შეტანასთან დაკავშირებით.

კენჭისყრაში მონაწილეობას იღებდა ბიუროს 8 წევრი:

მომხრე 8

წინააღმდეგი 0.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1. საკითხი შეტანილ იქნეს საკრებულოს 2024 წლის 01 აპრილის მორიგი სხდომის დღის წესრიგში.

2. საკითხის განხილვა დაევალა საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მათვისა და ინფრასტრუქტურის კომისიას

წინააღმდეგი 0.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1. საკითხი შეტანილ იქნეს საკრებულოს 2024 წლის 01 აპრილის მორიგი სხდომის დღის წესრიგში.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

დამტკიცდეს 2024 წლის 01 აპრილის საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგი (თან ერთვის).

ამით ბიუროს სხდომის მიერ განსახილველი საკითხები ამოიწურა და სხდომა დახურულად გამოცხადდა.

სხდომის თავმჯდომარე **მანანა ბარბაქაძე**

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 01 აპრილის მორიგი

სხდომის

დღის წესრიგი

1. ა(ა)იპ მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის ხელმძღვანელის ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ

მომხს: ჰამლეტი ბერაძე

2. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2023 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის დამტკიცების შესახებ

მომხს: ვლადიმერ გელაშვილი

ვარლამ ჭიპაშვილი

3. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ

მომხს: მარინე ხვედელიძე

4.,,ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დებულების (რეგლამენტის) დამტკიცების შესახებ" ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 ივლისის #11 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მომხს: მანანა ბარბაქაძე

5.,,ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტიდან სოციალური დ ახმარების გაცემისა და დახმარების მიღების წესის დამტკიცების შესახებ'' ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 6 თებერვლის N 11 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მომხს: ნანა კიკნაძე

6. „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 21 დეკემბრის N29 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მომხს: ვლადიმერ გელაშვილი

ვარლამ ჭიპაშვილი

7, ა(ა)იპ „კულტურისა და ხელოვნების ცენტრის" და ა(ა)იპ ,,სპორტისა და შიდა ტურიზმის ცენტრის" რეორგანიზაციის შესახებ

მომხს: კახაბერ გოლუბიანი

8. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში

მერის მიერ წარმოდგენილი 2024 წელს განსახორციელებელი პროექტების დამტკიცებისა და ხარაგაულის მუნიციპალიტეტისათვის გამოყოფილი თანხის დასახლებების მიხედვით განაწილების შესახებ

მომხს: პეტრე შარიქაძე

საკრებულოს თავმჯდომარე **მანანა ბარბაქაძე**